სამაგისტრო პროგრამის დასახელება – სამაგისტრო პროგრამა ამერიკისცოდნეობაში ((Master Programme in American Studies)

სტუდენტები აბარებენ ერთიან სამაგისტრო გამოცდებს **უნარ-ჩვევებსა** და ინგლისურ ენაში (B2), ასევე სპეციალობის საგანს.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი –ამერიკისცოდნეობის მაგისტრი (MA in American Studies)

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი– ასოც. პროფ. ელენე მეძმარიაშვილი.
კონსულტანტი: რატგერსის უნივერსიტეტის (აშშ) ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი **მაიკლ როკლენდი**

სწავლების ენა: ქართული ენა (თუმცა, კურსების დაახლოებით 50% ინგლისურენოვანია)

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა: დაიშვებიან ჰუმანიტარულ, სოციალურ–პოლიტიკურ მეცნიერებათა, განათლების, ან ბიზნეს ადმინისტრირების განათლების მქონე ბაკალავრები, ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და სპეციალობაში (ორგვერდიანი ინგლისურენოვანი ესეი ამერიკისმცოდნეობის შესავლის ერთ-ერთ მითითებულ საკითხზე) მისაღები გამოცდის შედეგების საფუძველზე; ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

გარდა ამისა, აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება კომპიუტერთან მუშაობის (Microsoft Word, Internet, PowerPoint) ცოდნა.

სამაგისტრო პროგრამა „ამერიკისცოდნეობა“ არ მოითხოვს სამუშაო გამოცდილების ქონას, ანუ 2013 წელს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულსაც ამ პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვს.

ინგლისურ ენასა **და** სპეციალობაში მისაღები გამოცდა ჩატარდება თსუ-ში, დადგენილი წესის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება – მიზანი:

სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინარულია და მიზნად ისახავს მოამზადოს როგორც მკვლევარი, ასევე, პრაქტიკოსი ამერიკანისტები. მათ ეცოდინებათ ამერიკის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფერო: პოლიტიკა, ისტორია, ფილოსოფია, ეკონომიკა, საზოგადოება, სულიერი და მატერიალური კულტურა.
სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს: ერთის მხრივ, საქართველოს თანამედროვე რეალიები, მეორე მხრივ, ამერიკული სამყაროს როლისა და მნიშვნელობის ზრდა როგორც ევროპის, ასევე თანამედროვე ქართულ კულტურულ და სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში, ქართული დიასპორის პრობლემები აშშ-ში, გარდა ამისა, ამერიკისმცოდნეობის როლი და ადგილი მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების კურიკულუმში.
პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ **სტენფორდისა და რატგერსის უნივერსიტეტების** პროფესორები, რომლებიც ჩაატარებენ ლექციების სერიას ამერიკის საზოგადოებისა და კულტურის საკითხებზე ინტერნეტის (ე.წ.

ვიდეო კონფერენციების) მეშვეობით და კონსულტაციას გაუწევენ, ან უხელმძღვანელებენ სამაგისტრო ნაშრომებს.
სწავლების პროცესში, აქტიურად არის ჩართული პროგრამის კონსულტანტი, რატგერსის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ როკლენდი. გათვალისწინებულია მისი ერთობლივი კურსი ქართველ პროფესორებთან ერთად. პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა ამერიკელი პროფესორებიც, რომლებიც სემესტრის ან სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც ჩაატარებენ ლექციების მოკლე კურსს ან ჩაატარებენ ცალკეულ ლექციებს. ასევე, გათვალისწინებულია პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორების ინტერნეტ კურსებიც (დამატებითი დაფინანსების პირობით, სპეციალური გრანტით, ან პირადად სტუდენტის ხარჯით).
პროგრამა უზრუნველყოფს არა მარტო ემპირიულ და თეორიულ ცოდნას, არამედ შემდგომი ინდივიდუალური, თუ კოლექტიური სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

შედეგი – ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს უნდა შეეძლოს კვლევა არა მხოლოდ ქართული, არამედ დასავლური მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით.
მაგისტრი უნდა ფლობდეს ცოდნას ამერიკისმცოდნეობის სფეროში. კერძოდ, მას ეცოდინება აშშ-სა და ლათინური ამერიკის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძირითადი მიმართულებები, თავისებურებები და აგრეთვე, პერსპექტივები და შეეძლება ამერიკული გამოცდილების სხვადასხვა ასპექტის გამოყენება საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ.
გარდა ამისა, ის დახელოვნდება გუნდურ მუშაობაში, რეფერატისა და ესეის წერაში, პრეზენტაციების მოწყობაში; ჩამოუყალიბდება ანალიტიკური აზროვნებისა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევები, რომლებიც ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევის საწინდარია.
დასაქმება:
სამეცნიერო-კვლევითი და მთარგმნელობითი ცენტრები, უმაღლესი სასწავლებლები, ამერიკულ-ქართული კომპანიები, ფონდები და ორგანიზაციები, ამერიკისა და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები, ბიბლიოთეკები, გამომცემლობები, მასმედია.

საგამოცდო საკითხები სპეციალობაში (ლიტერატურით):

1. რატომ აირჩიეთ ამერიკისმცოდნეობა თქვენს სპეციალობად? დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.
2. როგორია ამერიკისმცოდნეობის, როგორც აკადემიური დისციპლინის ისტორია და შინაარსი?

ელენე მეძმარიაშვილი, ამერიკისმცოდნეობა – ახალი აკადემიური დისციპლინა საქართველოში, ამერიკისმცოდნეობის შესავალი, ლექციების კურსი

3. იმსჯელეთ, ვინ შეიძლება ჩავთვალოთ ამერიკის პირველადმომჩენად და რატომ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება

ე.მეძმარიაშვილი, ამერიკის ცივილიზაცია და ევროპელები. ამერიკა – ახალი სამყარო: განსხვავება ახალ და ძველ სამყაროს შორის, სალექციო კურსი.
The American Studies Anthology: How America Was Discovered (c 1735-1815).*Handsome Lake;*
Letter III from an American Farmer (1782).*J. Hector St. John de Crevecoeur;* On Being an American (1922). *H.L. Mencken*

4. იმსჯელეთ, რა შეიძლება მიიჩნიოთ ამერიკის სიმბოლოებად? ჩამოთვალეთ თქვენეული ტიპიურად ამერიკული არტეფაქტები და დაასაბუთეთ არჩევანი?

ე.მეძმარიაშვილი, ამერიკის სიმბოლოები, ლექციების კურსი.
მ. როკლენდი, რა არის ამერიკული ამერიკულად? კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები“, VI, თბილისი, 2008.

5. იმსჯელეთ, რატომ უწოდებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს „სადნობ ღუმელს“ ან „სასალათეს“?

ე.მეძმარიაშვილი, მულტიკულტურული ამერიკა, ლექციების კურსი.

6. იმსჯელეთ, ამერიკულ ღირებულებებს შორის რომელია, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება?

ე.მეძმარიაშვილი, ამერიკული ღირებულებები, ლექციების კურსი.
S.P. Hantington. *Who Are We? America's Great Debate*. Free Pres, London, 2005.

7. იმსჯელეთ, როგორია ამერიკის იმიჯი საქართველოში?

ე.მეძმარიაშვილი, ამერიკის იმიჯი საქართველოში, ლექციების კურსი.

8. ამერიკული დემოკრატიის რომელ დამახასიათებელ ნიშანს გამოჰყოფდით უპირველესად და რატომ?
ე.მეძმარიაშვილი, ამერიკული დემოკრატიის თავისებურებები, ლექციების კურსი.
Alexis de Tocqueville, *Democracy in America* (1835), excerpt from Vol. I, Chapter 17, The Rulers and the Ruled: John Winthrop's Definition of Liberty. John Winthrop, from *Speech Delivered after his Acquittal*

9. იმსჯელეთ, რას ნიშნავს „ამერიკული ცხოვრების წესი“?

ე.მეძმარიაშვილი, ამერიკული ღირებულებები. ამერიკის იმიჯი საქართველოში, ლექციების კურსი.

10. იმსჯელეთ, რა არის, თქვენი აზრით, ამერიკული ნაციონალიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი?

ე.მეძმარიაშვილი, ამერიკული ნაციონალიზმის თავისებურებები, **ლექციების კურსი.**
Declaration of Independence (1776).*Continental Congress*
Declaration of Sentiments (1848).*Woman's Rights Convention*
Independence Day (1993).*Gretchen Peters*

ლიტერატურა

(ინახება ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, თსუ, II კორპ., ოთახი 165):

1.ელენე მეძმარიაშვილი, ამერიკისმცოდნეობის შესავალი, ლექციების კურსი

2. The American Studies Anthology, ed. by Richard P. Horwitz (Wilmington, Delaware: Scholary Resources, 2001)

3. *American Perspectives. The United States in the Modern Age*, ed. by Carl Bode, Forum Reader Series, NY, 1992.

4. A Nineteenth Century. American Reader, ed. by M.Thomas Inge. USIA, Washington D.C., 2001.

5. A Twentieth Century. American Reader. Vol.1, 1900-1945. Ed. by Jack Lane and Maurice O'Sullivan. USIA, Washington, 1999.

6. Alexis De Tocqueville. Democracy in America. Ed. by Richard D.Heffner, A signet Classic, 1984.

7. Making America: the Society and Culture of the Unites States, ed. by Luedtke S. Luther … Forum Series, United States Information Agency, Washington, DC., 1987.

8. A Guide to American Literature, ed*. by* Rozakis E. Laurie. Pearson Education Mcmillan Company, NY, 1999.

9. Stevenson, D.K. *American Life and Institutions.* U.S. Information Agency. Washington, DC, 1987.